საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/68 „8" აპრილი 2011 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების, საშტატო ნუსხისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/205-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების, საშტატო ნუსხისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/205-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების (დანართი 1)" მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ" ქვეპუნქტი:

„ვ) ახორციელებს რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების ქსელის ადმინისტრატორების მეთოდურ ხელმძღვანელობას, უზრუნველყოფს მათთვის ტრეინინგების ჩატარებას, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სასამართლოს ინტერესების გათვალისწინებით, კოორდინაციას უწევს ქსელის ადმინისტრატორების საქმიანობას და უფლებამოსილია მისცეს მათ დავალებები საერთო სასამართლოების ერთიანი კომპიუტერული ქსელის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.".

2. გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საშტატო ნუსხა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები (დანართი 2)" ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 2

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საშტატო ნუსხა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
ადმინისტრაცია		
დეპარტამენტის თავმჯდომარე	1	2360
თავმჯდომარის მოადგილე	2	1950
სპეციალისტი (მდივან-რეფერენტი)	1	600
სულ:	4	
დაგეგმვისა და ანალიზის სამმართველო		
სამმართველოს უფროსი	1	1300
მთავარი სპეციალისტი	2	890
სპეციალისტი	1	770
სულ:	4	
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო		
სამმართველოს უფროსი	1	1300
მთავარი სპეციალისტი (სამშენებლო საქმეთა ორგანიზება)	2	890
მთავარი სპეციალისტი	1	890
სპეციალისტი	1	770
დამხმარე მოსამსახურე	3	420
დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი)	2	420
დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი)	2	240
სულ:	12	
საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველო		
სამმართველოს უფროსი	1	1300
მთავარი სპეციალისტი	4	890
სპეციალისტი	1	770
სულ:	6	
სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება		
განყოფილების უფროსი	1	1180
მთავარი სპეციალისტი	1	890
სპეციალისტი	1	770
სულ:	3	
საქმისწარმოებისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველო		
სამმართველოს უფროსი	1	1240
მთავარი სპეციალისტი (საკადრო უზრუნველყოფის საკითხებში)	1	830
მთავარი სპეციალისტი (სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში)	2	830
მთავარი სპეციალისტი (საქმისწარმოების უზრუნველყოფის საკითხებში)	1	830
სულ:	5	
საარქივო განყოფილება		
განყოფილების უფროსი	1	1070
სპეციალისტი	3	710
სულ:	4	

ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველო		
სამმართველოს უფროსი	1	1360
ქსელის ადმინისტრატორი	1	1130
ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების ოფიცერი	1	1130
მონაცემთა ბაზის/აპლიკაციების ადმინისტრატორი	1	1130
მთავარი სპეციალისტი - ელექტროკავშირგაბმულობის ინჟინერი	1	890
მთავარი სპეციალისტი - სისტემური ინჟინერი	1	890
წამყვანი ინჟინერი	1	890
ინჟინერი	1	830
სპეციალისტი - ტექნიკური ინჟინერი	1	830
დამხმარე მოსამსახურე	1	480
სულ:	10	
ლოჯისტიკის სამსახური		
სამსახურის უფროსი	1	1300
მთავარი სპეციალისტი	2	890
დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი)	3	420
სულ:	6	
ჯამი	54“.	

მუხლი 2.

ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2011 წლის 11 აპრილიდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი